სსიპ ტახტისძირის საჯარო სკოლის

მე-6 კლასის დამრიგებლის თამარ ლომიძის

სადამრიგებლო პროგრამა
2021-2022 სასწავლო წელი

დამრიგებლის მუშაობის მიზანია დაეხმარობს მოსწავლეებს ეროვნული მიზნების მიღწევაში,პიროვნული,ზნეობრივი,გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში,დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.კლასის დამრიგებლად მუშაობის პერიოდში:

- გადავამოწმებ და მოვაწესრიგებ მოსწავლეთა პირად საქმეებს,მოვიწვევ სადამრიგებლო კლასის კრებას,ბავშვებს გავაცნობ და განვიხილავ მოსწავლეთა ქცევის კოდექსს.
- მოვიწვევ მშობელთა კრებას,ვაცნობებ,რომ ინფორმირებულები იქნებიან ისინი მოსწავლეების მიერ გკვეთილების გაცდენის შეადეგად მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ
- ვესაუბრები ინდივიდუალურად,რათა გავაცნო თუ როგორ მიმდინარეობს მიმდინარე სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწყებული პროგრამის მიხედვით მშობელთა მიერ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით მშობელთა მიერ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების გამოვლენა,ჯანსაღი ცხოვრების წესის ხეშეწყობა.შვილებთან კომუნიკაციის პროცესში ასაკობრივ-ფსიქოლოოგიური თავისებურებების გათვალისწინება,მშობლებს შვილის აკადემიურ მოსწრების და ყოფაქცევის საკითხებს გავაცნობ ინდივიდუალურად,შეხვედრების დროს და არა სხვისი თანდასწრებით.
- კლასის საათს ჩავატარებ ორ კვირაში ერთხელ ცხრილის შესაბამისად.ცალკე შემუშავებული თემების შესაბამისად.
- სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აღრიცხვას ყოველდღიურად შევამოწმებ და დასწრების შესახებ ინფორმაციას ავსახავ სკოლის სპეციალურ ჟურნალში.
- მივაწვდი ინფორმაციას მშობლებს შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ,თვეში მინიმუმ ერთხელ.

- გავუწევ მოსწავლეებს დახმარებას აკადემიური თუ სხვა პრობლემის მოგვარებაში.
- დავაკვირდები მოსწვლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს,მივუთითებ რისი გათვალისწინება სჭირდებათ აკადემიური,ფიზიკური,ემოციური და სოციალური განვითარებისათვის,სამომავლოდ.
- საკლასო გარემოსთან ერთად ვიზრუნებ სასურველი სულიერი გარემოს შექმნაზე.რაც ითვალისწინებს მრავალფეროვან ღონისძიებებს,ექსკურსიებს,ლაშქრობებს,შეხვედრებს და ა.შ.მაგალითად მოვაწყობ კლასის შეხვედრას ფსიქოლოგთან,რაც ხელს შეუწყობს მათ და დაეხმარება პრობლემური საკითხების მოგვარებაში.
- მოვაწყობ ექსკურსიებს ქალაქში და ქალაქ გარეთ,ბავშვები გაეცნობიან თავისი სამშობლოს მნიშვნელოვან,უნიკალურ ადგილებს.ეს ხელს შეუწყობს მოზარდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას და ჯამსაღი ცხოვრები წესის დამკვიდრებას.
- მოსწავლეებს შევუქმნი სათანადო პირობებს შინაგანი ძალების აქტივიზაციისა და მათი ნიჭის,შესაძლებლობების გამოვლენისათვის.
- კლასში აუცილებლად შევქმნი თანამშრომლობით გარემოს.
- ვითანამშრომლებ საგნის პედაგოგებთან,პერიოდულად შევეკითხები მათ სადამრიგებლო კლასის აკადემიური მოსწრების,პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატების შესახებ.
- თვეში ერთხელ მოსწავლეებს გავუკონტროლებ სასწავლო ნივთების ტარებას
- ვითანამშრომლებ სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან,მაგალითად:ბიბლოთეკებთან,მუზეუმებთან და სხვა.
- მივიღებ სათანადო ზომებს მოსწავლეთა წახალისებისა ან დასჯისათვის,საჭიროების შემთხვევაში დირექციის წევრების ჩართვით.
- სემესტრისა და წლის ბოლოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების ნიშნებს დროულად და ზუსტად შევიტან საკლასო ჟურნალში/პირად საქმეებში.

- სასწავლო წლის ბოლოს დავწერ თითოეული მოსწავლის დახასიათებას,რომელშიც აღვწერ მოსწვლის წარმატებებსა და წარუმატებლობას,გამოვკვეთ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს,აღვნიშნავ თუ როგორ განუვითარდათ სოციალური უნარ-ჩვევები და ა.შ.
- ჩამოთვლილი ამოცანების,ღონისძიებების და აქტივობების გარდა,ვეცდები ჩემს სადამრიგებლო პროგრამაში შევიტანო ინოვაციებიც,რათა არ ჩამოვრჩე მოვლენებს და რომ ჩემი კლასი იყოს წარმატებული და გამორჩეული სწავლით,დისციპლინით,ზნეობითა და პასუხისმგებლობით.

კლასთან მუშაობის ძირითადი პრინციპები:

1.მოსწავლეებისათვის სათანადო პირობების,შინაგანი ძალების აქტივიზაციისა და მათი ნიჭის,შესაძლებლობების ხელშეწყობა.

2.შანათამშრომლობითი გარემოს შექმნა

3.მოსწავლეთა წახალისება

4.მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

5.თანამშრომლობა საგნის მასწავლებლებთან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით.

6.ინოვაციების დანერგვა.

N	განსახორციელებელი აქტივობები	მიზანი	შესრულების დრო	შენიშვნა
1.	საორგანიზაციო საკითხები: ა) მოსწავლეთა მონაცემთა ბაზის დაზუსტება; ბ) სახელმძღვანელოების გაცემა; გ) პირადი საქმეების მოწესრიგება;	სასწავლო პროცესისათვის მზადება.	სექტემბერი	

	დ) სასკოლო ჟურნალის მოწესრიგება.			
2	მშობელთა საერთო კრებებზე განსახორციელებელი საკითხები: ა) სკოლის შინაგანაწესის გაცნობა; ბ) მშობელთათვის ესგ – თი გათვალისწინებული საკითხების არსებული სიახლეების გაცნობა. დ) მიმდინარე, შემაჯამებელი, სემესტრული შეფასებების ჩვენება. ე) სასკოლო და საკლასო ნამუშევრების ჩვენება. ვ) მოსწავლეთა დაგვიანების,გაცდენების,ყოფაქცევის საკითხების განხილვა.	მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით.	თვეში ერთხელ	
3	აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების დახმარება.	აკადემიური მოსწრების ამაღლება.	საჭიროებისამებრ	
4	სხვა საგნის პედაგოგების გაკვეთილებზე დასწრება.	მოსწავლეთა ქცევასა და აკადემიურ მოსწრების შემოწმება	წლის განმავლობაში	

ჩასატარებელი თემები

N	თემები	შეხვედრის დრო	აქტივობები

1.	ზაფხულის შთაბეჭდილებები, რომელი გაკვეთილი მოენატრათ ყველაზე ძალიან? რა მოლოდინები აქვთ ახალ სასწავლო წელს?	სექტემბერი	ზაფხულის შთაბეჭდილებების შესრულება.
2.	შინაგანაწესის გაცნობა	სექტემბერი	ბავშვთა უფლებების გაცნობა
3.	ცხოვრების ჯანსაღი წესი	ოქტომბერი	
4.	უცენზურო ლექსიკა	ოქტომბერი	განხილვა,პრეზენტაცია
6	მოთმენა	ნოემბერი	
7.	რა გვეხმარება,რა გვიშლის ხელს ვალდებულებების შესრულებაში,რას ნიშნავს სიზარმაცე?როგორ ჩნდება სიზარმაცე?სიზარმაცის დაძლევა	ნოემბერი	დისკუსია
8.	სამართლიანობა	დეკემბერი	კითხვა-პასუხი
9.	კამათი და ჩხუბი.განცხვავება მათ შორის.კამათის კულტურა	დეკემბერი	გონებრივი იერიში,კითხვა-პასუხის რეჟიმი
10.	მეგობრობის უნარ და მისი განვითარება	იანვარი	დისკუსია

11.	პატივისცემა	თებერველი	საუბრები
12.	თანამშრომლობის მნიშვნელობა,გაგება,მოსმენა მოლაპარაკება	თებერვალი	კითხვა-პასუხი.
13.	მეგობრობის უნარი და მისი განვითარება.	მარტი	გონებრივი იერიში, კითხვა-პასუხის რეჟიმი.
14.	წონასწორობა	მარტი	საუბრები
15.	ბავშვთა უფლებები	აპრილი	კითხვა – პასუხი, როლური თამაში.
16.	ციფრული ტექნოლოგიები ჩვენს საუკუნეში	აპრილი	მასალების მოძიება გაცნობა
17	ბულინგი	მაისი	
18	სანამ სხვის განსჯას დავიწყებთ...	მაისი	
29	ადამიანის დანიშნულება	ივნისი	